

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ 0 ლ ე ბ ა 1

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის 2016 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. სამშენებლო ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის სამემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 2016 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთით, 347 517 ლარით და შემოსავალმა ნაშთის ჩათვლით შეადგინოს 5 663 895 ლარი. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდოს 47 945 ლარით და შეადგინოს 792 945 ლარი, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 209 183 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვროს 4 661 767 ლარით, რაც შესაბამისად იწვევს ფაკულტეტის ბიუჯეტის გადასახდელების გაზრდას, რომელიც გადანაწილდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტი გაიზარდოს 3 600 ლარით, ლაბორატორიის ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურების 1 200 ლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით; შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატის პუნქტი – 51 672 ლარით, დეპარტამენტის უფროსების დანამატის 300 ლარამდე გაზრდასთან დაკავშირებით; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი – 210 000 ლარით; სამედიცინო ხარჯების მუხლის სამედიცინო დეზინფექცია/დერატიზაციის და სამედიცინო უტილიზაციის ხარჯების პუნქტი – 1 000 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტი – 11 800 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოებისა და ავეჯის შეძენის პუნქტი – 1 500 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 20 000 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: ემერიტუსის წოდებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლის წოდებრივი სარგოს პუნქტიდან 53 130 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში; კომპიუტერული პროგრამის შეძენისა და განახლების ხარჯებიდან – 80 000 ლარი და საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება

საქონლისა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში პუნქტიდან – 160 000 ლარი, სულ 240 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში.

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 დეკემბრის N1848 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 02 მარტის №5 სხდომის №7 დადგენილებით, სტუ-ის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებს, ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ორგანიზებისა და მონაწილეობისათვის, ანაზღაურება მიეცემათ ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საათების მიხედვით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 2 982 ლარის ოდენობით;

2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 2016 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთით 484 983 ლარის ოდენობით, შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 6 259 608 ლარით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდოს 80 000 ლარით და შეადგინოს 880 000 ლარი, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 277 208 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვროს 5 102 400 ლარით, რაც შესაბამისად იწვევს ფაკულტეტის ბიუჯეტის გადასახდელების გაზრდას, რომელიც გადანაწილდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში, კერძოდ: მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯი გაიზარდოს 40 000 ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი გაიზარდოს 30 000 ლარით; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი – 115 563 ლარით; სამედიცინო ხარჯების სამედიცინო დანიშნულების მასალების, ინსტრუმენტების შეძენის ხარჯების პუნქტი – 1 840 ლარით, ხოლო სამედიცინო დეზინფექცია/დერატიზაციის და სამედიცინო უტილიზაციის ხარჯების პუნქტი – 1 000 ლარით; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლის ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯების პუნქტი – 4 000 ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტი – 15 000 ლარით; სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების პუნქტი – 50 000 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 145 580 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტი – 2 000 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: ემერიტუსის წოდებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლის წოდებრივი სარგოს პუნქტიდან 27 786 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში და ასევე, საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯიდან 17 555 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტში; დეპარტამენტის უფროსებს გაეზარდოთ

დანამატი თვეში 102 ლარით და სულ შეადგინოს 240 ლარი, რომელიც გათვალისწინებულია დანამატის პუნქტში, ხოლო ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ორგანიზებისა და მონაწილეობისათვის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების ანაზღაურება ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საათების მიხედვით, გათვალისწინებულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 4 830 ლარის ოდენობით;

3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ცვლილებას არ განიცდის და ასიგნებები განისაზღვრება 2 629 070 ლარით. ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: ემერიტუსის წოდებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლის წოდებრივი სარგოს პუნქტიდან 29 436 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი შემცირდეს 147 390 ლარით, საიდანაც 90 000 ლარი გადატანილ იქნება შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტში; 7 290 ლარი – შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატის პუნქტში, რომელიც გათვალისწინებულია დეპარტამენტის უფროსების დანამატის თვეში 300 ლარამდე გაზრდისათვის; 50 000 ლარი – შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში; ხოლო 100 ლარი – სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის პუნქტში; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო (არამირითადი საქმიანობის) ხარჯებიდან 10 000 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული.

ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ორგანიზებისა და მონაწილეობისათვის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლების ანაზღაურება ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საათების მიხედვით, გათვალისწინებულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 1 680 ლარის ოდენობით.

4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ცვლილებას არ განიცდის და ასიგნებები განისაზღვრება 3 320 365 ლარით. ბიუჯეტში განხორციელდეს შიგა მუხლობრივი ცვლილებები, კერძოდ: ემერიტუსის წოდებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლის წოდებრივი სარგოს პუნქტიდან 75 125 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტი შემცირდეს 115 152 ლარით, საიდანაც 1 200 ლარი გადატანილ იქნება პრემიის პუნქტში, 3 826 ლარი – დანამატის პუნქტში, დეპარტამენტის უფროსების დანამატის გაორმაგებასთან დაკავშირებით; 102 575 ლარი – შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში; ხოლო 7 551 ლარი – სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის პუნქტში; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი შემცირდეს 2 495 ლარით, საიდანაც 1 045 ლარი გადატანილ იქნება შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე

ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში; 250 ლარი – მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯებში, ხოლო 1 200 ლარი – რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენისა და პირად ჰიგიენასთან დაკავშირებული ხარჯების მუხლის უნიფორმის შეძენის პუნქტში; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 44 250 ლარი გადატანილ იქნება შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში; სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტი შემცირდეს 3 000 ლარით, საიდანაც 1 800 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში, ხოლო 1 200 ლარი – სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტში.

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 დეკემბრის №1848 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 02 მარტის №5 სხდომის №7 დადგენილებით, სტუ-ის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებს, ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ორგანიზებისა და მონაწილეობისათვის, ეძლევათ ანაზღაურება ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საათების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 1 680 ლარის ოდენობით.

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილს ემატება 2016 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთი, 125 959 ლარი და შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვრება 5 372 359 ლარით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდოს 14 523 ლარით და შეადგინოს 714 523 ლარი, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა უცვლელია და შეადგენს 261 967 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვრება 4 395 869 ლარით, რაც შესაბამისად იწვევს ფაკულტეტის ბიუჯეტის გადასახდელების გაზრდას, რომელიც გადანაწილდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში, კერძოდ: შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 6 420 ლარით; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟება /დემონტაჟის ხარჯი – 28 911 ლარით; ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმწმენდისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯი – 39 062 ლარით; სამედიცინო ხარჯების სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო უტილიზაციის ხარჯების პუნქტი – 1 000 ლარით; ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლუატაციისა და მოვლა/შენახვის ხარჯების მუხლის საწვავ-საპოხი მასალის შეძენის პუნქტი – 720 ლარით, ხოლო მიმდინარე რემონტის, ექსპლუატაციისა და მოვლა-შენახვის, სათადარიგო ნაწილების, მცირეფასიანი ინსტრუმენტებისა და ხელსაწყოების შეძენის ხარჯების პუნქტი – 170 ლარით; სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები – 1 463 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის კომპიუტერული მოწყობილობების შეძენის პუნქტი – 12 800 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომოწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოებისა და ავეჯის შეძენის პუნქტი – 20 890 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: ლაბორატორიის ხელმძღვანელების სარგოს ზრდა 1 200 ლარამდე იწვევს თანამდებობრივი სარგოს ზრდას წლის განმავლობაში 7 200 ლარის ოდენობით. აღნიშნული ცვლილების განსახორციელებლად სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯიდან 7 200 ლარი გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტში; ემერიტუსის წოდებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლის წოდებრივი სარგოს პუნქტიდან 89 817 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში; მივლინების მუხლი შემცირდეს 30 000 ლარით და გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის დანამატის პუნქტში, რომელიც გათვალისწინებულია როგორც დეპარტამენტის უფროსების დანამატის 300 ლარამდე გაზრდისათვის, ასევე ბონუსებისათვის; სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების პუნქტი შემცირდეს 66 000 ლარით და გადატანილ იქნეს შრომის ანაზღაურების მუხლის პრემიის პუნქტში; საოფისე ტექნიკის, ინვენტარის, მანქანა-დანადგარების მოვლა-შენახვის, ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯი შემცირდეს 50 000 ლარით; ელექტროენერჯის ხარჯი შემცირდეს 12 000 ლარით; წყლის ხარჯი – 5 000 ლარით; ბუნებრივი აირის მოხმარების ხარჯი – 3 000 ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯები, რომლებიც არ კლასიფიცირდება საქონლისა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში პუნქტი – 10 000 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარის პუნქტი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 59 000 ლარით და სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტი – 1 000 ლარით, სულ 140 000 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტი შემცირდეს 47 200 ლარით, ხოლო ბუნებრივი აირის მოხმარების ხარჯი – 1 463 ლარით და სულ 48 663 ლარი გადატანილ იქნეს ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიკატებისა და სანიტარული საგნების შეძენის ხარჯების პუნქტში; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის პუნქტიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 5 000 ლარი და სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯიდან – 2 800 ლარი, სულ 7 800 ლარი გადატანილ იქნეს სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებში.

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 დეკემბრის №1848 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 02 მარტის №5 სხდომის №7 დადგენილებით, სტუ-ის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებს, ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ორგანიზებისა და მონაწილეობისათვის, ეძლევათ ანაზღაურება ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საათების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 3 486 ლარის ოდენობით;

6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 2016 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთით, 140 515 ლარით და განისაზღვროს 2 193 527 ლარით, ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდოს 14 209 ლარით და განისაზღვროს 230 320 ლარით. საბოლოოდ, ფაკულტეტის განსაკარგავი ასიგნება გაიზარდოს 126 306 ლარით და შეადგინოს 1 946 310 ლარი. გაზრდილი ასიგნებები გადანაწილდეს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში, კერძოდ: ლაბორატორიის ხელმძღვანელის სარგოს ზრდა 1 200 ლარამდე და საგანმანათლებლო პროგრამების კურატორის სარგოს ზრდა 1 150 ლარამდე, იწვევს შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს ზრდას წლის განმავლობაში 7 650 ლარის ოდენობით; დანამატის პუნქტი გაიზარდოს 40 176 ლარით, რომელიც გათვალისწინებულია როგორც დეპარტამენტის უფროსების დანამატის 300 ლარამდე გაზრდისათვის, ასევე ბონუსებისათვის; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯები გაიზარდოს 1 500 ლარით; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი – 60 580 ლარით; სამედიცინო ხარჯების მუხლის სამედიცინო დეზინფექცია-დერატიზაციის და სამედიცინო უტილიზაციის ხარჯების პუნქტი – 1 000 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის კომპიუტერული ტექნიკის შეძენის პუნქტი – 5 400 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა/დანადგარების პუნქტი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 10 000 ლარით;

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: ემერიტუსის წოდებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლის წოდებრივი სარგოს პუნქტიდან 40 535 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლიდან 48 195 ლარი გადატანილ იქნეს შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯებში; სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული ხარჯებიდან 2 000 ლარი გადატანილ იქნეს სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯებში.

სტუ-ის აკადემიური საბჭოს 2015 წლის 21 დეკემბრის №1848 დადგენილებით და წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 02 მარტის №5 სხდომის №7 დადგენილებით, სტუ-ის საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებს, ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ორგანიზებისა და მონაწილეობისათვის, ეძლევათ ანაზღაურება ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საათების მიხედვით, რომელიც გათვალისწინებულია შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 1 512 ლარის ოდენობით;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილს დაემატოს 2016 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთი, 152 258 ლარი და შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 12 030 483 ლარით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდოს 25 000 ლარით და შეადგინოს 3 708 000 ლარი, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა უცვლელია და შეადგენს 52 241 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვროს 8 270 242 ლარით, რაც შესაბამისად იწვევს ფაკულტეტის ბიუჯეტის გადასახდელების გაზრდას, რომელიც გადანაწილდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტი გაიზარდოს 31 950 ლარით, ლაბორატორიის ხელმძღვანელის სარგოს ზრდა 1 200 ლარამდე, განყოფილების უფროსების 800 ლარამდე და ინგლისურენოვანი პროფესორის 3 600 ლარამდე ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით; პრემიის პუნქტი გაიზარდოს 4 770 ლარით, ხოლო დანამატის პუნქტი – 30 000 ლარით, რომელიც გათვალისწინებულია, როგორც დეპარტამენტის უფროსების 300 ლარამდე დანამატის გაზრდისათვის, ასევე ბონუსებისათვის; შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლი გაიზარდოს 12 096 ლარით, რომელიც მიეცემათ ფაკულტეტის 2015-2016 სასწავლო წლის მეორე სემესტრის შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდების ორგანიზებისა და მონაწილეობისათვის, საგამოცდო ცენტრის თანამშრომლებს, ფაკულტეტისთვის გამოყოფილი საათების მიხედვით; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/დამონტაჟების ხარჯები – 3 000 ლარით; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი – 40 442 ლარით; საოფისე ტექნიკისა და ინვენტარის, მანქანა/დანადგარების ექსპლუატაციისა და მიმდინარე რემონტის ხარჯები – 1 500 ლარით; სამედიცინო ხარჯების სამედიცინო დეზინფექცია/დერატიზაციის და სამედიცინო უტილიზაციის ხარჯები – 1 500 ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები – 2 000 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: ემერიტუსის წოდებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების წოდებრივი სარგოს პუნქტიდან 76 864 ლარი გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 2016 წლის 01 იანვრისათვის არსებული ნაშთით 808 083 ლარის ოდენობით, შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 9 202 008 ლარით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდოს 137 544 ლარით და შეადგინოს 1 564 341 ლარი, საბოლოოდ ასიგნებები გაიზარდოს 671 539 ლარით და ნაცვლად გათვალისწინებული 7 638 839 ლარისა შეადგინოს 8 310 378 ლარი.

შესაბამისად, გაზრდას ექვემდებარება ფაკულტეტის ბიუჯეტის გადასახდელები, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტი გაიზარდოს 12 600 ლარით, ლაბორატორიის ხელმძღვანელების 1 500 ლარამდე ანაზღაურების გაზრდასთან დაკავშირებით, ხოლო დანამატის პუნქტი გაიზარდოს – 18 954 ლარით, დეპარტამენტის უფროსების 300 ლარამდე დანამატის გაზრდასთან დაკავშირებით; მივლინების მუხლი გაიზარდოს 10 000 ლარით; კომპიუტერული პროგრამების შეძენისა და განახლების ხარჯები – 10 000 ლარით; ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეც. ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო (არაძირითადი საქმიანობის) ხარჯები – 5 000 ლარით; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა/და-

მონტაჟების ხარჯები – 15 000 ლარით; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯები – 493 965 ლარით; წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლი – 3 000 ლარით; სამედიცინო ხარჯების სამედიცინო დეზინფექცია/დერატიზაციის და სამედიცინო უტილიზაციის ხარჯები – 2 000 ლარით; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის სესიების, კონფერენციების, ყრილობების, სემინარების და სხვა სამუშაო შეხვედრების ორგანიზების ხარჯი – 10 000 ლარით, ხოლო სასწავლო მიზნით საჭირო ნივთებისა და მასალების შეძენის ხარჯები – 500 ლარით; სოციალური უზრუნველყოფის მუხლის დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების პუნქტი – 18 000 ლარით; სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯები – 23 520 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 40 000 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილება ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: ემერიტუსის წოდებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების მუხლის წოდებრივი სარგოს პუნქტი შემცირდეს 41 531 ლარით და გადატანილ იქნეს სხვა ხარჯების მუხლის სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტში;

9. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის სამემოსავლო ნაწილს დაემატოს 2016 წლის 01 იანვრისათვის ნაშთი, 337 572 ლარი და შემოსავალი ნაშთის ჩათვლით განისაზღვროს 3 192 922 ლარით. ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების გადასახდელებისათვის გადასაცემი თანხა გაიზარდოს 58 761 ლარით და შეადგინოს 558 761 ლარი, ზოგადსაუნივერსიტეტო საგნების სწავლების დასაფინანსებელი თანხა შეადგენს 118 000 ლარს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაკულტეტის განსაკარგავი თანხა განისაზღვროს 2 516 161 ლარით, რაც შესაბამისად იწვევს ფაკულტეტის ბიუჯეტის გადასახდელების გაზრდას, რომელიც გადანაწილდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებში, კერძოდ: შრომის ანაზღაურების მუხლის თანამდებობრივი სარგოს პუნქტი გაიზარდოს 80 000 ლარით, საშტატო განრიგში შეტანილ ცვლილებებთან დაკავშირებით; დანამატის პუნქტი გაიზარდოს 41 000 ლარით, ხოლო პრემია – 26 000 ლარით; მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/ დემონტაჟის ხარჯი – 20 000 ლარით; შენობა-ნაგებობებისა და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი – 30 000 ლარით; რბილი ინვენტარისა და უნიფორმის შეძენის ხარჯების (ხალიჩების, გზამკვლევის და ფარდა-ჟალუზების შეძენის ხარჯები) – 20 000 ლარით; ტრანსპორტის დაქირავების (გადაყვანა/გადაზიდვის) ხარჯები – 5 000 ლარით; სხვა ხარჯების მუხლის სხვა სახელობითი სტიპენდიები – 750 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოების, ავეჯის შეძენის პუნქტი – 34 400 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 21 661 ლარით.

ასევე, განხორციელდეს ცვლილებები ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ: ფაკულტეტის საშტატო განრიგში შესატანი ცვლილების გამო ბუნებრივი და თხევადი აირის ხარჯიდან 18 100 ლარი გადატანილ იქნეს თანამდებობრივი სარგოს პუნქტში;

10. სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 32 04 02 05) დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 08 თებერვლის №73 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მარტის №238 ბრძანების საფუძველზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სტუ-ს შორის დადებულ 23 მარტის №09-1/62/18 შეთანხმების თანახმად, გასათვალისწინებელია ცვლილებები უნივერსიტეტისათვის განსაზღვრულ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის, კერძოდ:

10.1. ნიკო მუსხელიშვილის გამოთვლითი მათემატიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოებისა და ავეჯის შეძენის პუნქტიდან 30 000 ლარი გადატანილ იქნეს მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯების პუნქტში, ხოლო 6 000 ლარი – სხვა ხარჯების მუხლის მოსაკრებლების პუნქტში;

10.2. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯების მუხლიდან 25 600 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის ელექტრომომწობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის, ოპტიკური ხელსაწყოებისა და ავეჯის შეძენის პუნქტში;

10.3. ვლ. ჭავჭავანიძის სახელობის კიბერნეტიკის ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის, საოფისე ინვენტარის შეძენა, დამონტაჟების/დემონტაჟის ხარჯების პუნქტიდან 14 980 ლარი და ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების, რეცხვის, ქიმიკატების და სანიტარული საგნების შეძენის პუნქტიდან 6 520 ლარი გადატანილ იქნეს არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული.

11. ცვლილებას საჭიროებს სტუ-ის ეკონომიკური საქმიანობიდან აიოვას უნივერსიტეტთან დადებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსებისათვის გადასაცემი თანხა: ვალდებულებების კლების მუხლი შემცირდეს 14 270 ლარით, საიდანაც 4 370 ლარი გადატანილ იქნება არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტში, ხოლო 9 900 ლარი – წარმომადგენლობითი ხარჯების მუხლში.

12. რაც შეეხება ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების დამტკიცებულ ბიუჯეტს, საფაკულტეტო ბიუჯეტების საშემოსავლო ნაწილის ცვლილებიდან გამომდინარე, იცვლება გადასახდელებიც, კერძოდ: სამშენებლო ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა იზრდება 47 945 ლარით და შეადგენს 792 945 ლარს; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა იზრდება 80 000 ლარით და შეადგენს 880 000 ლარს; სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა რჩება უცვლელი და შეადგენს 90 000 ლარს; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა რჩება უცვლელი და შეადგენს 70 000 ლარს; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა იზრდება 14 523 ლარით და შეადგენს 714 523 ლარს; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა

იზრდება 14 209 ლარით და შეადგენს 230 320 ლარს; ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა იზრდება 25 000 ლარით და შეადგენს 3 708 000 ლარს; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა იზრდება 137 544 ლარით და შეადგენს 1 564 341 ლარს; აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტიდან გადმოსაცემი თანხის ოდენობა იზრდება 58 761 ლარით და შეადგენს 558 761 ლარს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ადმინისტრაციისა და ადმინისტრირების ბიუჯეტი იზრდება 377 982 ლარით, ანუ განისაზღვრება 8 473 310 ლარით, რომელიც გადანაწილდება კლასიფიკაციის ხარჯვითი ნაწილის შემდეგ მუხლებში: ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ/გაზეთების შეძენისა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო/სასტამბო ხარჯები გაიზარდოს 1 500 ლარით; შენობა-ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯი – 126 000 ლარით; მივლინება – 10 000 ლარით; წარმომადგენლობითი ხარჯები – 5 000 ლარით; საერთო მომსახურების სამედიცინო ხარჯები – 1 000 ლარით; კულტურული, სპორტული, საგანმანათლებლო და საგამოფენო ღონისძიებების ხარჯების პუნქტი – 25 000 ლარით, ხოლო საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯების პუნქტი, რომლებიც არ კლასიფიცირდება საქონლისა და მომსახურების დანარჩენ მუხლებში – 5 000 ლარით; სოციალური დაზღვევის მუხლის დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალური დახმარების პუნქტი – 50 000 ლარით; არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის არასაცხოვრებელი შენობების პუნქტი – 2 500 ლარით; სხვა შენობა-ნაგებობების პუნქტი – 5 514 ლარით, სხვა მანქანა-დანადგარების პუნქტი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული – 128 468 ლარით; სხვა არამატერიალური ძირითადი აქტივების პუნქტი – 6 000 ლარით, ხოლო კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა – 12 000 ლარით.

13. სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდსა და სტუ-ს შორის 2013-2015 წწ. გაფორმებული ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვებიდან გამომდინარე, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთით 1 601 137 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტების გრაფა გაიზარდოს 1 601 137 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს იმავე პროგრამით გათვალისწინებული ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით;

14. საერთაშორისო საგრანტო პროექტების ხელშეკრულებებისა და ხარჯთაღრიცხვების თანახმად, სტუ-ის ნაერთი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გაიზარდოს 2016 წლის 01 იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთით 279 248 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სტუ-ის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში ევროგრანტების გრაფა გაიზარდოს 279 248 ლარით, ხოლო ხარჯვითი ნაწილი გაიწეროს იმავე პროგრამით გათვალისწინებული ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლების მიხედვით.

15. სტუ-ის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის 2016 წლის 21 მარტის №11 ოქმის საფუძველზე განხილულ და მოწონებულ იქნა სამეცნიერო პროექტი „მართვადი ცივი ბირთვული სინთეზის

ეფექტური დანადგარების შექმნა“ (ხელმძღვანელი პროფ. თ. ბაციკაძე), რომლის დასაფინანსებელი თანხის მოცულობა არის 40 000 ლარი.

საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 30 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში, 5 000 ლარი – მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში; ხოლო 5 000 ლარი – არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარების და ინვენტარის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული;

16. სტუ-ის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის 2015 წლის ოქტომბრის №12 ოქმი საფუძველზე განხილულ და მოწონებულ იქნა სამეცნიერო პროექტი „მზის ბატარეისა და ქარ-ენერგეტიკული დანადგარის ერთობლიობით შედგენილი ინოვაციური დუპლექსის პროტოტიპის შექმნა“ (ხელმძღვანელი ალექსანდრე მოსეშვილი), რომლის დასაფინანსებელი თანხის მოცულობა არის 20 000 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 11 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში; 200 ლარი – საკანცელარიო ხარჯების მუხლში; 3 585 ლარი – მცირეფასიანი საოფისე ტექნიკის შეძენის მუხლში; 2 275 ლარი – ოფისისათვის საჭირო საგნებისა და მასალების შეძენის მუხლში; 500 ლარი – საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული დანარჩენი ხარჯების მუხლში; 1 000 ლარი – ელექტრომომწყობილობების, რადიო, სატელევიზიო და საკომუნიკაციო აპარატურის შეძენის მუხლში; ხოლო 1440 ლარი – არაფინანსური აქტივების, სხვა მანქანა-დანადგარებისა და ინვენტარის მუხლში, რომელიც არ არის კლასიფიცირებული;

17. სტუ-ის მეცნიერების განვითარების ხელშემწყობი კომისიის 2016 წლის 21 მარტის №13 ოქმის საფუძველზე განხილულ და მოწონებულ იქნა სამეცნიერო პროექტი „გარემოზე მავნე ზემოქმედების მქონე მაცივარ-აგენტების და რეზინის ნარჩენების რაოდენობის აღწერა და უსაფრთხო უტილიზაციის კვლევა“ (ხელმძღვანელი არჩილ მაჭავარიანი), რომლის დასაფინანსებელი თანხის მოცულობა არის 20 000 ლარი.

სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლიდან, რომელიც არ არის კლასიფიცირებული, 20 000 ლარი გადატანილ იქნეს შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში;

18. ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის ხარჯთაღრიცხვასა და ნაერთ ბიუჯეტში შენობა-ნაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯებიდან 1 000 ლარი გადატანილ იქნეს ელექტროენერჯის ხარჯების მუხლში.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 2

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის დამტკიცებულ სამტატო განრიგსა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამტატო განრიგებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: დამტკიცდეს სტუ-ის დამტკიცებულ სამტატო განრიგსა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სამტატო განრიგებში შესატანი ცვლილებები, კერძოდ:

1. ბიოტექნოლოგიის ცენტრის სამტატო განრიგში: დირექტორის მოადგილის 1 სამტატო ერთეული, ხელფასით 700 ლარი თვეში, გადაკეთდეს მთავარ მეცნიერ თანამშრომლად იმავე ანაზღაურებით; უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 სამტატო ერთეული, ხელფასით 600 ლარი თვეში გადაკეთდეს მთავარ მეცნიერ თანამშრომლად, ხელფასით 700 ლარი თვეში; უფროსი მეცნიერ თანამშრომლის 1 სამტატო ერთეული, ხელფასით 600 ლარი თვეში გადაკეთდეს მეცნიერ თანამშრომლად, ხელფასით 500 ლარი თვეში. აღნიშნული ცვლილებები არ იწვევს არც რაოდენობრივ და არც სახელფასო ფონდის ცვლილებას;

2. მემბრანული ტექნოლოგიების საინჟინრო ინსტიტუტის სამტატო განრიგში: სპეციალისტის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 245,50 ლარი, ნაცვლად 250,50 ლარისა; სწავლული მდივნის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 245,50 ლარი, ნაცვლად 250,50 ლარისა; კონსულტანტის 0,5 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 90 ლარი, ნაცვლად 95 ლარისა; განყოფილების უფროსის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 800 ლარი, ნაცვლად 850 ლარისა; მთავარი მეცნიერი თანამშრომლის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 1000 ლარი, ნაცვლად 1040 ლარისა; მეცნიერი თანამშრომლის 1,5 სამტატო ერთეულს მოაკლდეს 0,5 სამტატო ერთეული და ხელფასი გახდეს 730 ლარი, ნაცვლად 750 ლარისა; სპეციალისტის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 340 ლარი, ნაცვლად 380 ლარისა; სპეციალისტის 0,5 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 85 ლარი, ნაცვლად 90 ლარისა; უფროსი ლაბორანტის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 85 ლარი, ნაცვლად 90 ლარისა; ლაბორანტის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 85 ლარი, ნაცვლად 90 ლარისა; ინჟინერ-კონსტრუქტორის (2 სამტატო ერთეულის) ხელფასი გახდეს 180 ლარი, ნაცვლად 190 ლარისა; ტექნიკოსის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი გახდეს 85 ლარი, ნაცვლად 90 ლარისა; შეიქმნას ფიზიკურ-ქიმიური ანალიზის ლაბორატორია და დაემატოს ლაბორატორიის უფროსის 0,5 სამტატო

ერთეული, ხელფასით 500 ლარი თვეში. სამტატო ერთეულის რაოდენობა 15,5 და შრომის ანაზღაურების ფონდი 80 300 ლარი რჩება უცვლელი;

3. სამშენებლო ფაკულტეტის მშენებლობის სასწავლო, სამეცნიერო და საექსპორტო ლაბორატორიის ხელმძღვანელის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 1 200 ლარით, ნაცვლად 800 ლარისა; რაც იწვევს ფაკულტეტის სახელფასო ფონდის 400 ლარით მატებას თვეში; სულ 9 თვეში – 3 600 ლარით;

4. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის ტყიბულის სამთო-ტექნოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის 1 სამტატო ერთეული გაუქმდეს, ხელფასით 500 ლარი და გადანაწილდეს: დირექტორის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 1 100 ლარით, ნაცვლად 900 ლარისა; სასწავლო პროგრამების კურატორის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 600 ლარით, ნაცვლად 500 ლარისა; კარიერისა და პროფორიენტაციის დაგეგმვის მენეჯერის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 600 ლარით, ნაცვლად 500 ლარისა; მატერიალური რესურსების მენეჯერის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 600 ლარით, ნაცვლად 500 ლარისა; რაც იწვევს ფაკულტეტის 1 სამტატო ერთეულით შემცირებას და არ იწვევს სახელფასო ფონდის მატებას;

5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის ლაბორატორიის ხელმძღვანელის (2 სამტატო ერთეულის) ხელფასი განისაზღვროს 1 200 ლარით, ნაცვლად 800 ლარისა; რაც იწვევს ფაკულტეტის სახელფასო ფონდის მატებას 800 ლარით თვეში; სულ 9 თვეში – 7 200 ლარით.

6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების კურატორის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 1 150 ლარით, ნაცვლად 700 ლარისა; ლაბორატორიის ხელმძღვანელის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 1 200 ლარით, ნაცვლად 800 ლარისა; რაც იწვევს ფაკულტეტის სახელფასო ფონდის მატებას 850 ლარით თვეში; სულ 9 თვეში – 7 650 ლარით;

7. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტის 1 აკადემიური პროფესორი, ხელფასით 1200 ლარი, შეიცვალოს ინგლისურენოვანი პროფესორის ხელფასით 3 600 ლარი; რაც იწვევს ფაკულტეტის სახელფასო ფონდის მატებას 2 400 ლარით თვეში; სულ 9 თვეში 21 600 ლარი; ასევე, ინფორმაციული ტექნოლოგიების და ქსელის მართვის განყოფილების უფროსის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 800 ლარით, ნაცვლად 700 ლარისა; სასწავლო პროცესის მართვის განყოფილების უფროსის 1 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 800 ლარით, ნაცვლად 700 ლარისა; ლაბორატორიის ხელმძღვანელის (2 სამტატო ერთეულის) ხელფასი განისაზღვროს 1 200 ლარით, ნაცვლად 800 ლარისა; თეოლოგიის სასწავლო-სამეცნიერო ცენტრის ხელმძღვანელის 0,5 სამტატო ერთეულის ხელფასი განისაზღვროს 600 ლარით, ნაცვლად 450 ლარისა; რაც იწვევს ფაკულტეტის სახელფასო ფონდის მატებას 1 150 ლარით თვეში; სულ 9 თვეში – 10 350 ლარით; სულ ჯამში ფაკულტეტის სახელფასო ფონდი გაიზარდოს 31 950 ლარით;

8. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის ლაბორატორიის ხელმძღვანელის (2 სამტატო ერთეულის) ხელფასი, განისაზღვროს 1 500 ლარით, ნაცვლად 800 ლარისა; რაც იწვევს ფაკულტეტის სახელფასო ფონდის მატებას 1 400 ლარით თვეში; სულ 9 თვეში – 12 600 ლარით;

9. აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტს დაემატოს ლაბორატორიის ხელმძღვანელის 2 სამტატო ერთეული, თითოეულის ხელფასი 1 200 ლარი; მთავარი სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული, ხელფასით 550 ლარი; სპეციალისტის 1 სამტატო ერთეული, ხელფასით 400 ლარი; უფროსი ლაბორანტის 5 სამტატო ერთეული, თითოეულის ხელფასი 350 ლარი; ლაბორანტის 5 სამტატო ერთეული, თითოეულის ხელფასი 330 ლარი; რაც იწვევს ფაკულტეტის სამტატო განრიგის 14 ერთეულით და სახელფასო ფონდის 6 750 ლარით გაზრდას თვეში; სულ 9 თვეში – 60 750 ლარით;

9.1. ასევე, აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის მწვანე და მდგრადი ქიმიის ინსტიტუტის სამტატო განრიგი განისაზღვროს შემდეგნაირად: ინსტიტუტის დირექტორის 1 სამტატო ერთეული, ხელფასით 1 200 ლარი; მთავარი სპეციალისტის 1,5 სამტატო ერთეული, თითოეულის ხელფასით 550 ლარი; უფროსი სპეციალისტის 2 სამტატო ერთეული, თითოეულის ხელფასით 500 ლარი; სპეციალისტის 1,5 სამტატო ერთეული, თითოეულის ხელფასი 400 ლარი; უფროსი ლაბორანტის 1,5 სამტატო ერთეული, თითოეულის ხელფასი 350 ლარი; სულ ინსტიტუტი განისაზღვროს 7,5 სამტატო ერთეულითა და სახელფასო ფონდით 4 150 ლარი თვეში; 9 თვეში 37 350 ლარი; რაც იწვევს აგრარული მეცნიერებებისა და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის 21,5 სამტატო ერთეულით გაზრდას და სახელფასო ფონდის 10 900 ლარით მატებას თვეში; სულ 9 თვეში – 98 100 ლარით;

10. სტუ-ის ადმინისტრაციის სამტატო განრიგში განხორციელდეს შემდეგი ცვლილება, კერძოდ: სენატის სამდივნოს მთავარი სპეციალისტის 1 ერთეული გადაკეთდეს სენატის სამდივნოს უფროსად, ხელფასით 1 000 ლარი, ნაცვლად 550 ლარისა, რაც იწვევს სახელფასო ფონდის მატებას 450 ლარით თვეში; სულ 9 თვეში – 4 050 ლარი; რისთვისაც სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების პუნქტიდან 4 050 ლარი გადატანილ იქნება თანამდებობრივი სარგოს პუნქტში;

11. წარმოდგენილი ცვლილებებით სამტატო განრიგის პროექტის ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 01 აპრილი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 3

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი საპატრიარქოსათვის დებიტორული დავალიანების ჩამოწერის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას საპატრიარქოსათვის დებიტორული დავალიანების ჩამოწერის შესახებ 20 568 ლარის ოდენობით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოვიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს

2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 4

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის იჯარით გასაცემი ფართობების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, კანონით დადგენილი წესით, 5 წლის ვადით იჯარით გასცეს სტუ-ის ფართობები, კერძოდ:

1. მე-7 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №71) პირველ სართულზე არსებული 81,86 კვ.მ ფართობი, საოფისე საქმიანობის მიზნით;
2. მე-8 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №77) პირველ სართულზე არსებული 5 კვ.მ ფართობი, ქსეროგრაფიის ცენტრის მოწყობის მიზნით;
3. მე-8 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №77) მე-3 სართულზე არსებული 5 კვ.მ ფართობი, ქსეროგრაფიის ცენტრის მოწყობის მიზნით;
4. მე-2 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. N67) პირველ სართულზე არსებული 12 კვ.მ ფართობი, ქსეროგრაფიის ცენტრის მოწყობის მიზნით;
5. მე-6 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №77) მე-2 სართულზე არსებული 16 კვ.მ ფართობი, ქსეროგრაფიის ცენტრის მოწყობის მიზნით;
6. მე-6 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №77) მე-6 სართულზე არსებული 18 კვ.მ ფართობი, ქსეროგრაფიის ცენტრის მოწყობის მიზნით;
7. პირველი სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №68) მე-5 სართულზე არსებული 5 კვ.მ ფართობი, ქსეროგრაფიის ცენტრის მოწყობის მიზნით;
8. მე-6 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №77) პირველ სართულზე (ფოიე) არსებული 130 კვ.მ ფართობი, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით;
9. მე-6 სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №77) პირველ სართულზე (ფოიე) არსებული 3 კვ.მ ფართობი, ყავისა და ტკბილეულის აპარატის განთავსების მიზნით;
10. პირველი სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №68) მე-5 სართულზე (ფოიე) არსებული 3 კვ.მ ფართობი, ყავისა და ტკბილეულის აპარატის განთავსების მიზნით;

11. პირველი სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №68) მე-5 სართულზე არსებული 250 კვ.მ ფართობი (ყოფილი სასადილოს ფართობი), კვების ობიექტის მოწყობის პირობით;
12. პირველი სასწავლო კორპუსის (კოსტავას ქ. №68) მე-5 სართულზე არსებული 18 კვ.მ ფართობი, საკანცელარიო მაღაზიის მოწყობის პირობით.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომის

დ ა დ ბ ე ნ ი ლ ე ბ ა 5

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომაზე სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა, პროფ. ქეთევან ქოქრაშვილმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის ფაკულტეტების დეპარტამენტების უფროსებისთვის დანამატის გაზრდის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს საკითხი სტუ-ის ფაკულტეტების დეპარტამენტების უფროსებისთვის დანამატის გაზრდის შესახებ და განისაზღვროს სამშენებლო ფაკულტეტზე 300 ლარი; ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტზე 240 ლარი; სამთო-გეოლოგიურ ფაკულტეტზე 300 ლარი; ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტზე 276 ლარი; სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტზე 300 ლარი; არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტზე 300 ლარი; ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტზე 300 ლარი; ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტზე 300 ლარი;
2. დამტკიცებული დანამატების ამოქმედების ვადად განისაზღვროს 2016 წლის 01 აპრილი.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს
2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომის

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა 6

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 1-ლი აპრილის 8 სხდომაზე პროფ. ვაჟა პაპასკირმა წარმოადგინა საკითხი სტუ-ის სტამბაში არსებული სახელმძღვანელოების სტუ-ის ბიბლიოთეკისათვის გადაცემის შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო ადგენს: პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა ლიტერატურით უზრუნველყოფის და წიგნების დაცვის გაუმჯობესების მიზნით სტუ-ის სტამბაში არსებული სასწავლო-მეთოდური ლიტერატურა გადაეცეს სტუ-ის ბიბლიოთეკას.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე